№ 211. 22 ოქტომბერი, შაბათი. 1866—1883 22 ოქტომბერი, შაბათი. № 211.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

დღესასწაულის გამო ხვალ გაზეთი არ გამოვა.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ“

პირველის ნოემბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი ორი მანათი.

«დროების» ნომრები თითოშაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

გორში, საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

20 ოქტომბერს.

ოდესა. სევასტოპოლის ჯავშნიანი გემების კეთება დაიწყეს; ოფიციალურად კეთებას მაშინ დაიწყებენ, როდესაც ზღვის სამინისტროს მმართველი მოვა.

პარიჟი. კლემანსომ მკაცრად განკიცხა მმართებლობის მოქმედება ტონკინის საქმის შესახებ; ფერიმ ამაზე უპასუხა, რომ ჩინეთთან მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა; მინისტრი დარწმუნებულია, რომ ჩინეთი ომს არ გამოუცხადებს და უფრო მორჩილდება, თუ ფრანციეზები მალე დაიპყრობენ წითელი მდინარის დელტას. პალატამ ნდობა გამოუცხადა კაბინეტს 339 ხმის უმეტესობით; ნდობის გამოცხადების წინაამდეგ 160 ხმა იყო.

შალმელ-ლაკური სამსახურს თავს ანებებს; შესაძლოა, იმის მაგივრად გარეშე საქმეთა მინისტრად ფერი დაინიშნოს.

### ალექს. ნიკ.-ძის ოსტროვსკის

პატივცემისათვის გამართული საღამო

—

ჩვენმა თეატრის დასმა შეასრულა თავისი დაპირება და მაღალ ნიჭიერს სტუმარს, რუსეთის პირველ დრამატურგს ალექს. ნიკ.-ძეს ოსტროვსკის ხუთშაბათს, 20 ოქტომბერს, გაუმართა ქართული წარმოდგენა. დანიშნულს ვადაზედ როგორც თვით თეატრი, ისე მთელი არწრუნის გალერეა ხალხით გაივსო. $7^{1}/_{2}$ საათზედ დაუკრა ზურნამ და ჩირაღნებითა და ბენგალის ცეცხლით გაჩაღებულს კიბეზედ ამოვიდა ა. ნ. ოსტროვსკი. ამოსავალზედვე გამართული იყო ტრანსპარანტი, რომელზედაც ეწერა დიდის ასოებით:

სალამი
მოხუცს დრამატურგს!

როდესაც ა. ოსტროვსკი თავის ლოჟაში გამოჩნდა, ხალხი მიაწყდა თეატრის ზალას, რომელიც, სამწუხაროდ, ამ საღამოსათვის ძალიან მცირე გამოდგა. ორი და სამი იმდენი, რაც ზალაში იყო, უბილეთოდ დარჩნენ და გულ-მოწყვეტილნი შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ორკესტრმა დაუკრა «მრავალ-ჟამიერი», ქართულ მარშად წოდებული. შემდეგ საზანდრებმა დაუკრეს პეირანი და აიხადა კიდეც ფარდა. სცენაზედ იყო მოგროვილი მთელი ჩვენი დასი ნაციონალური ტანისამოსით. ხალხში ჩამოვარდა სიჩუმე და დასის გამგებელმა ბ. ვ. აბაშიძემ წაიკითხა შემდეგი ადრესი რუსულად:

«ძვირფასო ჩვენო მოძღვარო!

«ახალ-გაზდა ამხანაგობა ქართულის დრამატიულის დასისა აღტაცებით დღესასწაულობს იმ დღეს, რადესაც რუსეთის ეროვნული დრამის შემოქმედმა ინება ქართულს თეატრში მობძანება. როდესაც ჩვენ ვაცნობებთ ჩვენს საზოგადოებას თქვენს უკვდავ ქმნულებათა, ჩვენა ვგრძნობთ, რომ იგი ტაშს უკრავს არა ჩვენ, არა ჩვენს ხელოვნებას, არამედ დიდს დრამატურგს, რომელმაც თვისი საკვირველი ნამოქმედარნი გააცხოველა და მოჰფინა ნათელი საზოგადო ჰუმანური დედა-აზრისა და სიმართლისა, ყველა ხალხთათვის ერთგვარად ძვირფასისა: ჩვენ, ხელოვნების ასპარეზზედ გამომსვლელნი, დავრწმუნდით და სხვანიც დავარწმუნეთ, რომ თქვენს წმინდა რუსეთის სურათებს შეუძლიან აუძგერონ გული და გონება არა მარტო რუსეთის საზოგადოებას; რომ თქვენი დიდი სახელი ისეთივე სასიქადულოა აქ, საქართველოში, როგორც იქ, რუსეთში. დიდად და დიდად ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ შეგვხვდა—ვიყვნეთ თქვენთა ქმნულებათა მეოხებით შუამავალად ზნეობრივისა კავშირისა ამ ორს ხალხს შორის, რომელთაც ბევრი აქვთ საერთოდ მოსაგონარი და საერთოდ მისაღწევარი და რომელთა შორის არსებობს ერთმანერთისადმი სიყვარული და თანაგრძნობა.»

ადრესის წაკითხვის შემდეგ მთელი საზოგადოება ფეხზედ წამოდგა და ოსტროვსკის ლოჟისაკენ მიბრუნებულმა აღტაცებულის ტაშის ცკრით განუცხადა თავისი თანაგრძნობა მაღალ-ნიჭიერს სტუმარს. მოხუცი დრამატურგი რამდენჯერმე ფეხზე წამოდგა და აღელვებით მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას.

შემდეგ წამოდგა წინ სცენაზედ ბ. ა. ცაგარელი და წაიკითხა ეს თავისგანვე შეთხზული ლექსი:

გეირგვინოსანს დრამატურგს
ა. ნ. ოსტროვსკის
(ქართულის დასისაგან).

«სათაყვანოდ მოგეგებვის
«ძვირფასს სტუმარს ჩვენი დასი:

---

## «დროების» ფელეტონი, 22 ოქტომ

### ციცია *)

(მოთხრობა)

«აპრაკუნე» ნაჩალნიკის პირველი საყვარელი და დროს გამატარებელი შეიქნა. არც ერთი სადილი, არც ერთი წვეულება მაზრის უფროსის სახლში ისე არ გაიმართებოდა, რომ «აპრაკუნე“ დროს გასატარებლად არ მოეყვანათ და არ ეპამპულებინათ.

რაოდენსამე ხანს ასე მიდიოდა ჩვენი «იზნაურის» ცხოვრება, მაგრამ «აპრაკუნემ» ერთბაშად სხვა უფრო ღირსეული ნიჭიც გამოიჩინა და «ნაჩალნიკის მარჯვენა ხელი შეიქნა. ის გახდა მომჩივართ და მოსამართლეთ შორის მომრიგებელი, იმის ხელით ირიგებდა ხალხის მმართველი საქმეს და მდიდრულ საჩუქრების გადაცემ-გადმოცემაში «აპრაკუნესაც» ნამცეცები რჩებოდა.

აი სწორედ ეს ის «აპრაკუნე» გახლდათ, რომელიც პირველი შეხვდა მოხუცს და მის სალამზედ ამაყად ჰკითხა:

— ვინა ხარ, რა გინდა?

ქუდ-მოხდილი ქორღუყო ახლოს მივიდა, მდაბლად დაუკრა თავი და მოახსენა:

— აბაიმე, შენაი ქირაიმე, ველარ მიცან?... შენ და ნაჩალნიკი ბურსაქირს რომ იყავით, სადილი მე არ გაგიმართეთ? — მოაგონა მოხუცმა.

— ბურსაქირს? — ჩაფიქრდა «აპრაკუნე», თითქოს მართლაც აღარ ახსოვდა და ქორღუყოც აღარ აგონდებოდა.

— დიახ, შენაი ქირაიმე.

— მოიცა, მოიცა!... წარსულს ზაფხულს... ჰო, რაღაცა მახსოვს, — წარმოსთქვა თარჯიმანმა.

— ჰო, შენაი ქირაიმე, სწორედ წარსულს ზაფხულს, — უპასუხა მოხუცმა და გაუკვირდა, რომ იმისთანა მასპინძლობა ასე ჩქარა დავიწყებია.

— ვინ იცის, რამდენსა გვპატიჟობენ, ყველას ხომ ვერ დავიხსომებთ, — მოიხადა ბოდიში, მაგრამ იმ გვარად — თითქოს ეუბნებოდა: «პურის ჭამევა ჯერ კიდევ ისეთი დასახსომებელი არა არის-რა, სხვა რამ გვიჩვენე.»

— აბა ნიდაგ, შენაი ქირაიმე, ხემწიფის სწორი კაცები ხართ, მართლადაც ვინ იცის, რამდენს გპატიჟობენ — საიდ დაგახსოვდებოდათ?

— შენ უსაქმოდ არ გაირჯებოდი?

— აბა საით, შენაი ქირაიმე!... საქმე რომ არა მქონოდა, ცხოვრს ტიალად როგორ დავყრიდი?

«აპრაკუნეს» იამა ქორღუყოს სიტყვები, რადგანაც იცოდა, რომ მოხუცი შეძლებული იყო და კაი სამოვარის იმედი ჰქონდა. დაუწყო გამოკითხვა, მაგრამ ისე უგულოდ, თითქოს მომჩივარს სრულიადაც ყურს არ უგდებდა. ამითი მთიულს აშკარად აჩვენებდა, რომ მოსმენისათვის მარტო ლაპარაკი არა კმარა და სხვა კიდევ რაღაცა არის საჭირო.

— ჰო, რას ამბობდი? — თითქოს ფიქრიდგან გამოსულმა, ჰკითხა «აპრაკუნემ.»

— იმას, შენაი ქირაიმე, რომ ქალი მომტაცეს! — გაკვირვებით გაუმეორა მოხუცმა.

თარჯიმანმა ვითომც ვერ შეამცნევა გაკვირვება და იასაულს დაუძახა, რომელიც იქვე სააასაულოსთან გამოჩნდა.

— ბერო!

— შენი ქირიმე! — მოვიდა იასაული.

— ცხენები კარგად გაწმინდე, სადილის შემდეგ მინდა გავისეირნო.

— ბატონი ბძანდებით.

— ჰო, მერე?.. ქალი მომტაცესო? — მოუბრუნდა ისევ მოხუცს.

— მომტაცეს, შენაი ქირაიმე, მომტაცეს და პატრონი-კი აღარავინ მყავს!..

— აკი გაჩენია პატრონი, — ვითომც იოხუნჯა «აპრაკუნემ», უხეიროდ გაიღიმა და ისევ იასაულს მიუბრუნდა: ნაჩალნიკის ცხენი დაჭედეს?

— არა, შენი ქირიმე.

— როგორ თუ არა? — გაწყრა აზნაური, — როგორ შეიძლება!.. მე არ გიბძანეთ, რომ უეჭველად დაეჭედინეთ-მეთქი?.. აბა, ახლა ნაჩალნიკს რა პასუხი მივცე?

— რა ვქნა, შენი ქირიმე, ნალბანდთანა მყავნდა, მაგრამ ცხენს ნა-

*) იხ. «დროება» № 207.

«შანგარო მასწავლებელს
«ქება გეძლევის ასჯერ ასი.

***

«სულის საზრდო მოგვანიჭე
«ხორციელად უცხო ტომსა.
«ქედ-მოდრეკით გულს გაგიმლით
«ხალხის ნაღვლით შენაკრთომსა.

***

«ქაცის სულის, ზნისა ცოდნით
«ბულთა-მხილავსა ედარი...
«ღმერთმა მრავალი გვაჩვენოს
«ქვლავაც შენი ნამოქმედარი.

***

«ჰყვაოდეს შენი კალამი
«ქვლავცა მარადის-ამიერ...
«ქაცობრიობის საშველად
«Iცოცხლე მრავალ-ჟამიერ»!..

შუკანასკნელის სტრიქონის შემდეგ ორკესტრმა დაუკრა მრავალ-ჟამიერი, რომელიც საზოგადოებამ იმავე ალტაცებით მიიღო.

ამის შემდეგ დაიწყეს პიესების წარმოდგენა. პირველად წარმოადგინეს მეორე მოქმედება თვით ა. ოსტროვსკის პიესისა «შემოსავლიანი ადგილი», რომლის შემდეგ მიართვეს მას დაფნის გვირგვინი და საზოგადოებამ მესამედ განუცხადა მადლობა ამ ჩინებულის პიესის ავტორს. თვით ა. ოსტროვსკიც ანტრაქტის დროს კულისებში შევიდა და დასს უთხრა: «მე უწინაც გამიგონია, რომ ქართველებს კარგი თეატრის დასი ჰყავთო და დღეს ვხედავ, რომ ეს აზრი სრული სიმართლე ყოფილაო». ნება მოგვცეს ჩვენმა დასმა, რომ თვით წარმოდგენაზედ ლაპარაკი შემდეგისათვის გადავდოთ, რადგან მან ამ საღამოს ისეთი ჩინებული აზრი განახორციელა და ჩვენმა საზოგადოებამაც ისე გულ-წრფელათა სცა პატივი დიდად პატივსაცემს დრამატურგს, რომ დღეს ნაკლულევანებაზედ ლაპარაკი უდროოდ მიგვაჩნია.

წარმოდგენაზედ დაესწრო ძმა ოსტროვსკისა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და მრავალნი წარჩინებულნი პირნი.

## შინაური ქრონიკა

≈≈≈ ოთხშაბათს, 19-ს ოქტომბერს, როგორც გვაცნობებს გაზ. «კავკაზი», სახელმწიფო ქონებათა მინისტრი სხვა პეტერბურგიდამ მოსულ პირებთან ერთად ეწვია თ. ივანე მუხრან-ბატონს სოფ. მუხრანში და დიდის ყურადღებით დაათვალიერა მართლა რომ საკვირველად მოწყობილი შენობა ღვინის საკეთებლად. თ. მუხრან-ბატონს ეს პატივსაცემი სტუმრები სწვევიან მაშინ, როდესაც ყურძნის გაცხარებული წურვა ყოფილა. მინისტრს დაუთვალიერებია აგრეთვე ქართული მარანი და ქვევრები.

≈≈≈ ერთი პირი გვწერს შემდეგს შესახებ ქართულის გალობის ნოტებზედ გარდაღებისა:

«17-ს ამ თვისას, ორშაბათს საღამოს, მე წავყევ მამა არხიმ. მაკარის ბ. ქორიძესთან, სადაც იგი იყო მიპატიჟებული ქართული საეკლესიო გალობის მოსასმენლად, რომელიც გადაღებულია ნოტებზე ბ. ქორიძის და მის მეუღლის შრომით.

«შესვლისათანავე მის სახლში ჩვენ მოგვესმა ნამდვილს გურულს კილოზედ საეკლესიო გალობა. ეს სასიამოვნოდ დამრჩა მით უფრო, რომ გალობდენ არა გურულები, არამედ საქართველოს ეგზარხოსის ხოროს მგალობლები: ბ.ბ. კიკნაველიძე, ვინჩენკო, ბალანჩივაძე და ბერიძე; რეგენტობდა თვითონ ბ. ქორიძე. იგი აძლევდა ტონს ისე, როგორც შეეფერება ევროპიულს მუსიკას და გალობა, ნოტებზედ გადაღებული, მშვენივრად გამოდიოდა. ამ მშრომით, უეჭველია, ბ. ქორიძე დაარღვევს ბ. მაჭავარიანისთანა არტისტებისგან გავრცელებულს აზრს, რომ ქართული სიმღერების ნოტებზედ გადაღება სრულიად შეუძლებელიაო და ახალი ნოტები უნდა მოვიგონოთო.

«პატივცემული მაკარი აპირებს ამ მოკლე ხანში წარუდგინოს როგორც საქართველოს ეგზარხოსს, ისე ჩვენს საზოგადოებას ბ. ქორიძის და მის მეუღლის შრომა და მაშინ თვით საზოგადოებას ექმნება საშუალება დააფასოს იგი.

«გარდა ამისა მამა არხიმანდრიტმა დამარწმუნა, რომ ბ. ქორიძე კისრულობს ყველა ქართულ საეკლესიო გალობის გადაღებას ნოტებზედ, თუ რომ ქართველი საზოგადოებაც დაეხმარება მას ამ მძიმე საქმეში.»

≈≈≈ ოთხშაბათს გაიხსნა ნავთლუღში სახლი ღარიბთა თავ-შესაფარებლად კნ. დონდუკოვის მეოხებით. სახლი უფასოდ დაუთმო ბ. ჩიტახოვმა. ამ სახლში ორმოცის კაცისათვის არის ალაგი, თუმცა ჯერ თორმეტის მეტი არ არის («კავკაზი»).

≈≈≈ მარილისის სტანციიდამა გვწერენ, რომ თუმცა ამ ბოლოს დროს იქ ნება მისცეს ბილეთების გაყიდვისა და საქონლის გადატან-გადმოტანისა, მაგრამ ეს განკარგულება თითქმის უქმათა რჩება ზოგიერთა წვრილის უფროსების წყალობითაო, რადგან ბილეთებს არ იძლევიან და საქონლის მიცემისთვისაც, ვინ იცის, რამდენს ხანს გაილოდინებენო.

## «დროების» კორესპონდენცია.

სიღნაღი, 18 ღვინობისთვეს. ამ შემოდგომით მე მქონდა შემთხვევა დამევლო სიღნაღის მაზრის სოფლები და ველის-ციხის ნახვამ დამარწმუნა, რომ ხალხის კეთილ მდგომარეობა ზვრით დამოკიდებული ყოფილა მამასახლისის გამოდგომაზე; გავიგე, რომ მამასახლისი კეთილი და გონიერი აზრებისა სოფლისთვის ყოფილა ისა, რაც ერთგული მამა თავის შვილებისათვის და სახლისათვის. ორის წლით წინეთ ველის-ციხე სხვა იყო; მაშინ ის არაფრით განირჩეოდა სხვა სოფლებისაგან; დღეს კი სიღნაღის მაზრის სოფლების თვალია. პირველათ მნახველს ველის-ციხე ქალაქი ეგონება და არც საკვირველია რო, შედეს: სუფთა აქეთ-იქით გაჭრილი რუებით ბლანზე გაჭიმული შოსსე და ქუჩები, ყველგან გამართული ფანრები ამკობენ ამ პატარა მომავალ ქალაქს და სასიამოვნო სანახავიც არის ეს სუყველაფერი სოფელ ალაგას.

აქ მკითხველს უნებურად ებადება თავში კითხვა: ვისი მადლობელი უნდა იყოს სოფელი ამ წარმატებისათვის ვიტყვი გაბედვით და არც სიმართლეს ვუღალატებ, რომ ველის-ციხე დღეს ჰყვავის მამასახლისის მ. კ. შრომით, მისი ენერგიული მეცადინეობით; დღეს ველის-ციხე სდგია განათლების გზას, მომავალი კიდევ ულიმის მას თვისი სრული სიმშვენიერით. ამით არ ზოლდება მ. კ. შრომა სოფლისათვის ის, როგორც შევიტყე, დიდი მანუგეშებელი და

---

ლი არ მოუვიდა ფეხზედ—მეტად დიდი ქაჩები აქვს.

— წადი ეხლავ, უთხარ ნალბანდს, რომ საცა იქნება მაგ ცხენისთვის ნალები იშოვოს, თუნდა მიწიდგან ამოთხაროს, მამა არ წამიწყდეს ტყავს გავაძრობ... გესმის?.. გასწი, ჩქარა.

— ბატონი ბძანდები!—სთქვა და გაბრუნდა იასაული.

ქორღუყო მიხვდა «აპრაკუნეს» საქციელს და იფიქრა,—როგორ დაეწყო, როგორ ეთქვა. «აპრაკუნემაც» შეუტყო ქორღუყოს აზრები და გაფაციცებული წყნარად და ჩუმად თვალ-ყურს ადევნებდა.

— შენაი ქირაიმე, ბატონო!.. მამაპაპითვე ჩვენი მწყალობელი ბძანებულხარ... შენ გვიპატრონე და ნურც ჩვენ შეგვინანებ, რითიც გინდა გვიმსახურე.

«აპრაკუნეს» ქორღუყოს სიტყვები გულზედ ქონად წაეცხლისა, მაგრამ მაინც შემცნევა არ უნდოდა და საჭიროდ სთვლიდა, ცოტა ხანს კიდევ ეწვალებინა. იმან კარგად იცოდა, რომ მოხუცი ხელიდგან არ წაუვიდოდა და რამდენათაც მეტს აწვალებდა, იმდენად სასყიდელიც მეტი იქნებოდა.

— საკვირველი ხალხი ხართ, ღმერთმან იცის... ქალს საქმრო ამოურჩევია, გაჰყოლია და შენ-კი ნაჩალნიკსაც აწუხებ და მეცა!. სხვებისთვის ქალის გათხოვება ბედნიერებად ჩაითვლება და შენ როგორი კაცი ყოფილხარ?

— ბარემ, შენაი ქირაიმე, რომ გამეთხოვებინა, მაგრამ მომტაცეს, სახლი გამიწბილეს, ქუდი მომხადეს!.. მიშველე რამე, შენი მუხლების ქირაიმე და თუნდა ყმად დაგეწერები.

— კარგი, კარგი... მიამბე ვინ მოგტაცა?—ჰკითხა თარჯიმანმა მას შემდეგ, როდესაც ქორღუყოს ხვეწნით გული იჯერა.

მოხუცი მოჰყვა და თავიდგან ბოლომდის გააგებინა თავისი უბედურება.

— მაშ სულთიმ მოგტაცა?

— დიახ, შენაი ქირაიმე.

რაოდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნამდვილად იცი, რომ ჩეჩენში წაიყვანეს?

— ვიცი, შენაი ქირაიმე! მთხრობელიცა მყავს.

«აპრაკუნე» ჩაფიქრდა, თითქოს ძნელი მოსააზრებელი საქმე გაუჩნდა.

— მაშ მთხრობელიცა გყავს?

— მყავს, შენაი ქირაიმე.

— ძნელი საქმე ყოფილა, ძალიან ძნელი,—წარმოსთქვა თარჯიმანმა და ბოლოს დაუმატა: ჩეჩენში რომ არ გაეტაცნათ და ჩვენს მაზრაში ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ვიცოდით, მაგრამ ეხლა აბა რა გიყოთ?

— ორივ ერთი არ გახლავს, ჩემი გამჯავრებელი თუნდა იქ იყოს, თუნდა ჩვენში?.. ყველგან ერთი «ზაკონი» არ არის?

— ერთია, მაგრამ ახლა იქ მიწერმოწერა გაიბმება: ვინ არისო, სადაურიაო, რამდენის წლისააო, როდის მოიტაცესო და სანამ ეს გათავდება, შენ შენი დაგემართება.

— მისწერე, შენაი ქირაიმე, ნუ მოგვიძულებ, აგრემც ღმერთი გადღეგძელებს!.. თუ შენ მოინდომებ, გასაჭირი აღარა იქნება-რა.

— ხარჯიც დიდი მოგივა... ხომ იცი, საქმეს მიყოლა უნდა?.. დაილუპები.

— იყოს, დავილუპო!—ხელის ჩაქნევით უპასუხა მოხუცმა,—დავილუპო, ოღონდაც ჩემი გამჯავრებელი მეც გავაჯავრო.

— მე კი იმას გირჩევდი, თავი დაგენებებინა და შენ იცი.

— თავი დამენებებინა! გაუკვირდა ქორღუყოს,—რას მიბძანებ, შენაი ქირაიმე?..

— მაშ არ იშლი, არა?

— არა, შენაი ქირაიმე! მაინც არ დავიშლი, ეგრემც შემეწევა წმიდა გიორგი, რომ ამ მოხუცების დროს ლუკმა ბურიც გამიწყდეს.

— ხარჯი მოგივა, ბიჭო!

— მომივიდეს.

«აპრაკუნე» ისევ ჩაფიქრდა და ბოლოს უთხრა:

— კარგი, რა გაეწყობა?.. ისე ითხოვ, რომ თავს უნდა შევიდო.

— არიქა, შენი მუხლების ქირაიმე.

— მაგრამ ხომ იცი, ნაჩალნიკს პატივისცემა ეჭირვება.

— მიმსახურე, შენაი ქირაიმე!.. შენ-კი მითხარ და რითიც გინდა იმითი გემსახურები.

— მაშ პირ-და-პირ ვილაპარაკოთ.

— ჰო, შენაი ქირაიმე!—თავისუფლად ამოიოხრა ქორღუყომ,—რაკი «სამსახურზედ» მივარდა საქმე, გაურიგებელი არ დარჩებოდა.

— ზლეხები ვართ, იმოდენა ქკუა

მშვლდლი ყოფილა ღარიბი და გაჭირვებული ხალხისა; მისი თავდებობით თელავის კერძო ბანკიდამ მცირე სარგებლით გამოტანილი ათასი თუმანი და ქიზიყიდამ შარშან შიმშილობის დროს მთავრობის ნება დართვით გადმოტანილი სამასი კოდი პური, რომელიც ნახევარ ფასად დაურიგდა ღარიბ ხალხს, ცხადათ გვიჩვენებს ბ. კალანთაროვის კეთილ-გულობს თავის თანამდებობისადმი. ამისთანა მაგალითს ვერსად ვპოვებთ მამასახლისებს შორის და ღირსია კიდეც იგი სრულის ქებისა.

მგზავრი.

## სამართალი.

### თავადი გრუზინსკის საქმე ოსტროგოჟსკის ოლქის სამჯავროში.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან, სწორედ ამ დროს, ერთმა ჩვენმა მეფეების შთამომავალმა რევოლვერით მოკლა თავის ცოლის მოურავი და მიჯნური, პრუსიის ქვეშევრდომი დოქტორი მედიცინისა, შმიდტი. ამ დღეებში რუსეთის ერთ პატარა ქალაქის, ოსტროგოჟსკის, სამჯავროში გაუსამართლებიათ თ. გრუზინსკი და ჩვენც, რადგანაც მკითხველებისათვის, უეჭველია, საინტერესო იქნება, ვბეჭდავთ ამ საქმეს მოკლედ.

როგორც სამჯავროში დამტკიცდა, თავადი გრუზინსკი თხუთმეტი წელიწადი ბედნიერად სცხოვრებდა თავის ცოლთან და შვიდი შვილიც მიეცა მასთან. შემდეგ თვით თ. გრუზინსკიმ დაიჭირა შვილებისთვის გუვერნიორათ ზემოხსენებული შმიდტი და ამ დღიდგან მოისპო ქმარსა და ცოლს შუა ბედნიერი ცხოვრება და თანახმობა. კნეინამ შეიყვარა გუვერნიორი და დაიწყო მასთან დაახლოვებული ცხოვრება. შმიდტი ამასაც არ დასჯერდა და აუჯანყა კიდეც გაუპატიურებულს ქმარს ცოლი და შვილები. თავადმა პირველად ვერ შენიშნა ცოლის და გუვერნიორის ერთმანეთთან დაახლოვებული კავშირი და შემდეგ, როდესაც ის ავად გახდა და მიჯნურნი აღარ ერიდებოდენ მას, მაშინ კი ერთბაშად მიხვდა მწარე ჭეშმარიტებას, მაგრამ რალას უშველიდა, მოთმინების მეტი რალა გაეწყობოდა და ისიც გასაკვირველი სულგრძელობით ითმენდა. მიჯნურებმა უფრო-და-უფრო უსირცხვოდ დაიწყეს ქცევა და მთელი ის მაზრა, სადაც ისინი სცხოვრობდენ, იმათზე-ღა ლაპარაკობდა. ბოლოს, საქმე იქამდინ მიიყვანა შმიდტმა, რომ ცოლმა მოსთხოვა თ. გრუზინსკის, გაეყო მისთვის მამული, რომელიც ორივეს სახელზედ იყო ნაყიდი. თავადმა გაუყო და კნეინა თავის ორის ქალით და სატრფო შმიდტითურთ გადასახლდა იქ,—ეს ადგილი ნახევარ ვერსის მანძილზეა მოშორებული თავადის სახლიდგან. კნეინამ შმიდტი მაშინვე მოურავად დაიყენა, და თუმცა განეშორა ქმარს, მაგრამ მაინც კიდევ ხშირად დაიარებოდა მასთან სახლში. თავადი ითმენდა ყველაფერს და დარდის გასაქარვებლად იმანაც გაიჩინა მოსკოვში მიჯნური. თავადი, როდესაც ცოლი მოდიოდა მასთან სანახავად, ეხვეწებოდა გადმოდი ისევ ჩემთანა და ერთად ვიცხოვროთო, თუ როგორც ცოლ-ქმარი ისე არა, ოჯახს მაინც უპატრონე და შვილებს მოუარეო; ხელ-წერილიც მისცა, რომ მე შენ თავის დღეში აღარას გაწყენებო და თუ მცირედი რამ უსიამოვნება მოგაყენო, მე თვითონვე ვეცდები ჩვენს ერთმანეთთან კანონიერად გაყრასაო. ხელ-წერილში თავადი, სხვათა შორის, ერთ ადგილას სწერს, რომ იმან თავის ცოლს «ორჯერ სცემა», მეორე ადგილას კიდევ ამბობს, რომ «ცოლს მასთან არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვის». ყოველივე ესე იმიტომ ჩავსწერეო ხელ-წერილში—სთქვა თავადმა სამჯავროში—რომ როგორმე შემერიგებინა ჩემი ცოლიო.

ამ გვარად მიმდინარეობდა ცოლ-ქმრის საქმე 1882 წ. ოქტომბრამდინ: კნეინა, მისი ორი ქალი და შმიდტი სცხოვრობდენ ერთად და თავადიც ერთი ქალით თავის სახლკარში, საიდამაც თავის ნუგეშისმცემელს ქალს მოსკოვში სწერდა წერილებს, რომლებშიაც უჩიოდა მწარე ბედს (ეს წერილები სამჯავროში წაუკითხავთ). ამის შემდეგ კნეინა ერთხელ პეტერბურგში წავიდა და თავის ორი ქალი, რასაკვირველია, შმიდტს ჩააბარა. თავადმა სთხოვა შმიდტს, ცოტა ხანს მასტუმრე ჩემი შვილები და მერე ისევ წაიყვანეო. შმიდტი დათანხმდა და ასტუმრა ქალები, მაგრამ თავადმა ისინი კი არ ისტუმრა, სამუდამოდ დასტოვა თავისთან. ამასობაში ერთმა კვირამ გაიარა, ქალებს ტანისამოსი გასარეცხი გაუხდათ. თავადმა მისწერა შმიდტს საცვალი გამოგზავნეო. შმიდტმა არამცთუ არ გაუგზავნა, გალანძღა კიდეც და შეუთვალა რომ ან გირათ 300 მანეთი გამოგზავნე და ან შენ თითონ მოდიო. თავადმა ეს ახალი შეურაცყოფაც მოითმინა და წავიდა შმიდტთან. აქ უნდა შევნიშნოდ, რომ, როგორც გამოძიებამ დაამტკიცა, თავადს ჩვეულებად ჰქონდა რევოლვერის ტარება და ეხლაც ჩვეულებისამებრ თან წაიღო. როდესაც კნეინას სახლთან მივიდა, თავადს ფანჯრებიც და კარებიც სულ ერთიანად დაკეტილი დახვდა, „რასაკვირველია", შმიდტის ბძანებით. დაარახუნა, მაგრამ კარები არავინ გაუღო. ბოლოს მოურავი ფანჯარასთან მოდგა და დაიწყო ლანძღვა-გინება და ყვირილი: «რას ამტვრევ ამ კარებს, ეს სახლი ჩემია და არა შენიო». თავადი მივიდა ახლოს და სთხოვა საცვალი, შმიდტმა უარი უთხრა ამ სიტყვებით: «ნუ მაწუხებ, თავიდამ მომშორდიო». თავადმა მეტი მოთმინება ველარ შესძლო, ულალატა მას სულგრძელებამ, გასტეხა ფანჯარა, ესროლა შმიდტს რევოლვერი და მხარში დასჭრა. დაჭრილი გამოვარდა ბალკონზე, დაეცა მუხლებზე და შექმნა ყვირილი: «მიშველეთ, მიშველეთ!» თავადი გაექანა მისკენ, ის შევარდა სახლში და კარების მოკეტვა მოიწადინა, მაგრამ თავადიც შეჰყვა თან; ორჯელ ზედი-ზედ კიდევ ესროლა რევოლვერი, და ერთმა ტყვიამ შუაზე გახვრიტა შმიდტი, რომელიც იქავე დაეცა და სული განუტევა. თავადმა და ერთმა მოსამსახურემ, რომელიც ხმაურობაზე შემოვარდა იქ, საწოლზე დასდვეს მკვდარი. ამის შემდეგ თავადი დაბრუნდა თავის სახლში და შემდეგი ბარათი მისწერა პრისტავს: «დღეს 17 ოქტომბერს 1882 წ. მე მოვკალ მიჯნური ჩემის ცოლისა».

ნაფიცთ მსაჯულთ გაამართლეს თავადი გრუზინსკი და ამ გვარი მათი განჩინება საზოგადოებამ, განსაკუთრებით მანდილოსნებმა, ტაშის კვრით და ალტაცებით მიიღო.

* * *

ვინ მოგვცა, რომ ყველაფერი ვიცოდეთ?.. ვესწავლე, შენაი ჭირაიმე, გვიბძანე და მეც თავს არ შევირცხვენ, მიბძანე მიპატრონე, მადლია შენთვის... ნაჩალნიკი რუსია, თუ შენ არა, აბა რაი უნდა გავაგებინო.

— კარგი, კარგი... აბა პირ-და-პირ მითხარ, თან ფული მოგიტანია რამე?

— ჰაი, ჰაი, შენაი ჭირაიმე... ისე როგორ გიახლებოდით.

— რამდენი?

— შვიდიოდ, რვა თუმანი გახლდებათ.

— შვიდიოდ-რვა?—ჩაფიქრდა «აპრაკუნე» და წარბები შეიჭმუხნა, რადგანაც ფული ეცოტავა.

— დიახ... ხომ არ გეცოტავებათ? პირ-და-პირ მიბძანე, შენაი ჭირაიმე—შეეხვეწა მოხევე.

შენ კარგად იცი, რომ მე გროშსაც არ გამოგართმევდი,—დაიწყო «აპრაკუნემ»,—ჩვენის მხრის კაცი ხარ... მაგრამ ნაჩალნიკს ეგრე ცოტას ვერ მივუტან, უბრალოდ ვინმე ხომ არ არის!

— უბრალო რად იქნება—ხემწიფის სწორი კაცია.

— მაშ რვა თუმანი როგორ მიეტანება?

— ხელად ვერ მოვახერხე, შენი რისხვა არა მაქვს!.. კიდევაც ვემსახურები.

— არა, ეგრე არ იქნება, თუ საქმის გარიგება გინდა... ხუმრობა ხომ არ არის?.. ჩეჩენში გაუტაცნიათ შენი ქალი და იქიდგან უნდა გამოვიყვანოთ.

— ადვილი საქმე არ არის, თავადაც ვიცი,—უპასუხა მოხუცმა და დაჯავრიანდა.

— მაშ რამდენი ეყოფა?

«აპრაკუნემ» იცოდა, რომ ძორღუყო შეძლებული კაცი იყო და ამისთვის მძიმედ აკიდება დაუპირა.

— ასი თუმანი მაინც.

— უჰ!—ამოიქშინა ძორღუყომ, რომელსაც ცივმა ოფლმა დაასხა,—მაგოდენი არ შემიძლიან.

— მაშ რა გეგონა?.. მიდიხარ საქმის გასარიგებლად და ფულის დახარჯვა კი გეძნელება?—გაუწყრა «აპრაკუნე»,—მომშორდი თავიდგან.

მოხევემ ხვეწნა დაუწყო, რომ ბატონს გული მოებრუნებინა.

კარგა ხანს ხვეწნასა და ვაჭრობის შემდეგ ისინი ორმოც-და-ათ თუმანზედ დადგნენ, მაგრამ ერთი აწუხებდა ძორღუყოს: იმას უნდოდა ქალალდი ეხლავ მიეღო და ფული მას უკან ჩაებარებინა, «აპრაკუნე»-კი ფულს ხელში სთხოვდა.

დაღონდა ძორღუყო, რადგანაც ასე საჩქაროდ ამოდენა ფულს ვერ მოაგროვებდა და საქმე-კი გძელდებოდა.

«აპრაკუნე» ჯერ ჰფიქრობდა, რომ ძორღუყოს ფული თანა ჰქონდა და არავითარი პირობის მიღება არ უნდოდა, მაგრამ როდესაც წინააღმდეგში დარწმუნდა, მაშინ მდიდარის საშოვრის ხელიდგან გაშვებისა შეეშინდა. ვინ იცის, იქნება მთას იქით რომ გადასულიყო, ძორღუყო დაშვიდებული დაჰკვირვებოდა საქმეს, სასყიდელი მეტად დიდი სჩვენებოდა და სულაც აღარ გადმოსულიყო.

— მებრალები მე და ჩემმა ღმერთმა!—ერთბაშად მოტკბა მზრუნველი,—მებრალები და მინდა შეგეწიო რითიმე...

— არიქა, შენაი მუხლების ჭირაიმე, და თუ კაცი ვარ, მეც გადაგიხდი.

— აქ ერთი ვაჭარი არის, იმისგან ისესხე.

— როდი მენდობა.

— მე დაგიდგები თავდებად.

— თუ კი მაგ სიკეთეს მიზამ, ვინ პირ-ძაღლი ლუკმას-ღა გასტეხს, რომ შენი სახელი ღმერთს არ შეავედროს.

ამის შემდეგ «აპრაკუნემ» დაიბარა ის ვაჭარი, რომელიც ამ გვარი საქმეებისათვის ჰყვანდა არჩეული. კარგად ხვეწნის შემდეგ «აპრაკუნემ» ვაჭარი ვითომც დააყაბულა,—ორმოც-და-ათი თუმანი ესესხებინა და ძორღუყოს თამასუქი ჩამოართვეს. ამის გარეთ კიდევ ცალკე პირობის წერილითაც შეეკრნენ, რომ თუ დანიშნულ ვადაზედ არ გაუსწორდებოდა, ყოველ გადაცდენილ დღისთვის ათი თუმანი ჯარიმა უნდა გადაეხადა.

გონება შეხურებული მოხევე არა გრძნობდა, თუ რა მახეს უგებდენ და მით უფრო სიხარულით და იმედიანად პირობაზედ ხელს აწერდა, რომ საქმეში აზნაური «აპრაკუნე» ერია; «აპრაკუნე» გვარის-შვილი იყო და მის დალუპვას როგორ მოისურვებდა.

ა. მოჩხუბარიძე

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ზმა.

ჩვენს ძველს საზოგადოებაში ზმით ლაპარაკი ძალიან ხშირი იყო. აი რამდენიმე მაგალითი ძველებურის, ჩვენებურის კალამბურებისა:

მეფე ერეკლე ცოტა ქოსა იყო. ერთხელ დალაქი წვერსა ჭპარსავდა და მეფემ ცუდად ჯდომის დროს მოიწადინა კარგის ზმის გაგონება. მხლებელთ რომ ვერა სთქვეს-რა, დალაქმა მოახსენა—მე მოგახსენებ ზმას, თუ არ გამიწყრებით. შემდეგ ნება-რთვის აღებისა, დალაქმა ეს ლექსი სთქვა:

«ერთი საკვირველი ვნახე: კაცი დასდევს ჯიხვს ურქოსა;
«ერთი კაცი პერანგს იცვამს უსაყელო, უჩაქოსა;
«ერთი კაცი ხარს წყალს ასმევს ურქოსა და უჩლიქოსა;
«ერთი კაცი წვერს იპარსავს, არის ოცი წლის ქოსა.

* * *

ერთს დიდს თავადიშვილთან გამოჩენილი მეზმე ბერი მივიდა, რომლის წვეკა არაფრად ესიამოვნა. თავადიშვილს უნდოდა ბერი თავის იარაღითვე დაემარცხებინა და ჰკითხა:

— უკეთუ როდის მოხველ? ბერმა უპასუხა:

— შენსა მოველ, შენსა ტაძარს ავხველ და შენი უდასტურო არსად წავალ.

### ხალხური ლექსები.

(ქიზიყში გაგონილი)

I

ქალო, შენი მე მიყვარდა,
ეზო ეზო საირული,
ტანთ ჩაცმა და თავ დახურვა,
თეთრი პირი მხიარული;
წარბიც გიგავს ვაზის წალამს,
წამწამი მელან-თალაქსა,
საითაც შენ გასთხოვდები,
ნეტავი იმ სოფელ—ალაგსა.
—იგეთ ალაგს გავთხოვდები,
რომ უყვავოდეს ყველა ხილი,
ქვეშ წყარო გამოდიოდეს,
სასმელად კი იყოს გრილი;
ადრიან ჩავირბენინო,
კოხტად დავიბანო პირი.

II

გაღმისა ტყისა ნადირო,
გამოღმა დახვალ ველზედა;
ქალმა, რომ ბიჭი შეირთო,
გადაუხვია ყელზედა,

III

კაჭკაჭმა უთხრა გუთანსა:
—გუთანო, პური მშიანო,
პატარა გამომიგზავნე.
გადასხდა შემიძლიანო.

## განცხადებანი

მივიღეთ ბევრი ფოშტის ქაღალდი, რიფსისა და ბევრი სხვა ნაირიც კონვერტებით, აგრეთვე რკინის კალმები, კლეონკები, თეთრი მეტალის ფოდნოსები, ტუალეტის საპონი, ჩაი 1-ს მოკრეფისა და სხ. სულყველაფერი 25%-თ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე სხვაგან სადმე ინგლისურს მაღაზიებში. იქვეა ზოგიერთა კაცის ტანსაცმელიც, დრაფი, ტრიკო და სხვა. ამეებშიც ფასი ძალიან დაეთმობათ მყიდველებს. (10—6)

---

გაიხსნა ფილიალის

### აფთიაქა

ხარფუხში შეითან ბაზარში. (3—2)

---

ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

### ქიუჩარიანცს

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამკურნალო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ. (14—5)

---

უმაღლესის სურვილით

ამ ცოტა ხანში იქნება

### თამაში

XLVI ლოტერეისა

პეტერბურგში გამართულ ბავშვთა თავ-შესაფარი სახლის სასარგებლოდ, რომელშიაც ინახავენ 5000 მოზარდს ყმაწვილს.

მოგება სულ 600 ნაწილად არის გაყოფილი და მათგან უმთავრესნი არიან:

ა) ერთი მოგება 225 გირვანქა ვერცხლის (84 პრობისა) სერვიზი, ღირებული . . . 8000 მ.
ბ) ოთხი მოგება—ას-ასი თუმანი . . . . . . 4000 მ.
გ) ორიც—ორმოც-ორმოც-და-ათი თუმანი. . 1000 მ.

დანარჩენი 583 მოგება შესდგება ვერცხლსგან, ოქროსგან და მათი უმაღლესობის ნაბოძების ნივთებიდგან.

ბილეთის ფასი 1 მან.

ბილეთების ყიდვა შეიძლება ბავშთა თავ შესაფარის რჩევის კანცელარიაში, აქ ყაზანის ქუჩაზედ, სახლი № 5 და აგრეთვე იმ ქალაქებში, სადაც ბავშვთ თავ-შესაფარი გამართული არის, როგორც მაგალითად:

თბილისში, ასტრახანში, ოდესაში, როსტოვში და სხვა. აგრეთვე გუბერნატორების კანცელარიებში; ერევანში, ბაქოში და სხვა.

ლოტერეის დღე თავის დროზედ გაზეთებში გამოცხადებული იქნება.

მოგება მიეცემა მხოლოდ მთელი ბილეთის წარმომდგენს. (2—1)

---

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიპეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხათანკები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—6)

---

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | მოსკოვის ჩაის |
|---|---|---|
| 1 მ. 10 კ. | | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | | — — 1—60 |
| — — 1—40 | | — — 1—80 |
| — — 1—60 | | — — 2— ,, |
| — — 1—80 | | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, ლანბები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, კასაკზავნს არაფერს არ ისდის. (100—52)

---

ქალის პალტოები, კაცის ქუდები და სხვ. იყიდება იაფ ფასად ინგლისის მაღაზიაში, რომელიც არწრუნის გალერეიაში იმყოფება. (10—2)

---

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—53)



### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროპები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ და-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | — |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

---

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 21 Октября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.